Izolda Khasaia
E-mail:izolda.khasaia@atsu.edu.ge
Associate Professor, Akaki Tsereteli State University,
Kutaisi, Georgia
ORCID: 0000-0002-9689-4277

Tamta Demetradze
E-mail:tamta.demetradze@atsu.edu.ge
PhD candidate, Akaki Tsereteli State University,
Kutaisi, Georgia

GREEN TOURISM DEVELOPMENT SITUATION AND PROSPECTS IN IMERETI REGION

Abstract: *Green tourism is the business of providing recreation and related services that are not harmful to the environment of a regional area. It promotes environmentally friendly and sustainable practices throughout the tourism value chain and minimizes the negative impacts of tourism on the environment.*
The purpose of the presented research is to familiarize with the practice of green tourism development in the Imereti region and determine the existing challenges.
Research has shown that there are many examples in the business sector of combining sustainable practices and modern technologies in the tourism industry.
The paper includes examples of the current practice of green tourism included in the research of various successful businesses in the Imereti region of Georgia (hotel, hotel complex, wine tourism destinations (cellars), administration of protected areas of Imereti caves, cultural tourism facility), which emphasize various aspects of the principles of green tourism.
Small hotels are taking energy-saving measures, including reducing the frequency of towel changes and closing certain parts of the building during off-peak seasons to save energy. However, power outages are a problem because high voltage generators are not environmentally friendly. To solve this problem, there is a growing interest in alternative energy sources such as solar panels.
Small family-run wineries are an example of successful ecotourism through organic viticulture and low-intervention wine production, focused on protecting the environment through waste management. They also offer tourists authentic cuisine, local organic produce and accommodation in a green environment.
It is worth noting the initiative, which includes the strengthening of landslide-prone slopes by planting fruit trees, which naturally stabilizes the soil with roots and prevents environmental degradation.
Creating additional green areas for tourists to relax and enjoy nature is another practice adopted by the respondents. This is in line with the growing emphasis on sustainability and the environment.
The development of green tourism faces many interrelated challenges that require the joint efforts of the government, the private sector and civil society.
Despite the problems related to waste management, wastewater, financial etc. Developing practices and growing awareness among industry representatives indicate a good future for green tourism in Imereti.

Keywords: *green tourism, sustainable development, waste management, environmental protection, wine cellars, Imereti*

JEL classification: *Z320*

იზოლდა ხასაია
E-mail:izolda.khasaia@atsu.edu.ge
ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქუთაისი, საქართველო
ORCID: 0000-0002-9689-4277

თამთა დემეტრაძე
E-mail:tamta.demetradze@atsu.edu.ge
დოქტორანტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქუთაისი, საქართველო
ORCID ID: 0000-0003-1752-8955

მწვანე ტურიზმის განვითარების მდგომარეობა და პერსპექტივები იმერეთის რეგიონში

აბსტრაქტი: *მწვანე ტურიზმი არის დასვენების და მასთან დაკავშირებული სერვისების მიწოდების ბიზნესი, რომელიც არ არის საზიანო რეგიონის ტერიტორიის გარემოსთვის. ის ხელს უწყობს ეკოლოგიურად სუფთა და მდგრად პრაქტიკებს მთელი ტურისტული ღირებულების ჯაჭვში და გარემოზე ტურიზმის უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაციას.*

წარმოდგენილი კვლევის მიზანი არის იმერეთის რეგიონში მწვანე ტურიზმის განვითარების პრაქტიკის გაცნობა და არსებული გამოწვევების დადგენა.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ ბიზნეს სექტორში არის არაერთი მაგალითი, როცა ხდება მდგრადი პრაქტიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაერთიანება ტურიზმის ინდუსტრიაში.

ნაშრომში მოყვანილია კვლევაში ჩართული მწვანე ტურიზმის მიმდინარე პრაქტიკის მაგალითები იმერეთის რეგიონში არსებული სხვადასხვა წარმატებული ბიზნესის (სასტუმრო, სასტუმრო კომპლექსი, ღვინის ტურიზმის დანიშნულების ადგილები (მარნები), იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, კულტურული ტურიზმის ობიექტი), რომლებიც ხაზს უსვამენ მწვანე ტურიზმის პრინციპების სხვადასხვა ასპექტს.

პატარა სასტუმროები იღებენ ენერგიის დაზოგვის ზომებს, მათ შორის პირსახოცების გამოცვლის სიხშირის შემცირებას და არაპიკის სეზონზე შენობების გარკვეულ ნაწილების დახურვით ენერგიის დაზოგვის მიზნით. თუმცა, ელექტროენერგიის გათიშვა პრობლემაა, რადგან მაღალი ძაბვის გენერატორები არ არის ეკოლოგიურად სუფთა. ამ პრობლემის გადასაჭრელად იზრდება ინტერესი ენერგიის ალტერნატიული წყაროების მიმართ, როგორიცაა მზის პანელები.

მცირე, საოჯახო მარნები წარმოადგენენ წარმატებულ მაგალითს ორგანული მევენახეობისა და დაბალი ინტერვენციის ღვინის წარმოებით, ნარჩენების მართვის გზით გარემოს დაცვაზე ორიენტირებული. აგრეთვე ისინი თავაზობენ ტურისტებს იმერულ სამზარეულოს, ადგილობრივ ორგანულ პროდუქტს და განთავსებას მწვანე გარემოში.

აღსანიშნავია ინიციატივა, რომელიც მოიცავს მეწყერსაშიში ფერდობების გაძლიერებას ხეხილის დარგვით, რაც ბუნებრივად ამაგრებს ნიადაგს ფესვებით და ხელს უშლის გარემოს დეგრადაციას.
ტურისტების დასასვენებლად და ბუნებით ტკბობისთვის დამატებითი მწვანე ზონების შექმნა რესპონდენტთა მიერ მიღებული კიდევ ერთი პრაქტიკაა. ეს შეესაბამება მდგრადობასა და გარემოზე მზარდ აქცენტს.
მწვანე ტურიზმის განვითარება მრავალი ურთიერთდაკავშირებული გამოწვევის წინაშე დგას, რაც მოითხოვს მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივ ძალისხმევას.
მიუხედავად პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების მართვასთან, ჩამდინარე წყლებთან, ფინანსური და ა.შ. განვითარებადი პრაქტიკა და მზარდი ცნობიერება დარგის წარმომადგენლებს შორის მიუთითებს მწვანე ტურიზმის კარგ მომავალზე იმერეთში.

საკვანძო სიტყვები: *მწვანე ტურიზმი, მდგრადი განვითარება, ნარჩენების მართვა, გარემოს დაცვა, ღვინის მარნები, იმერეთი*

JEL კლასიფიკაცია: *Z320*

შესავალი და ლიტერატურული მიმოხილვა

მწვანე ტურიზმი არის ახალი მიმართულება რომლის პოპულარობა დღითიდღე იზრდება.

ბუნებასთან კომუნიკაცია სულ უფრო პოპულარული ხდება და სულ უფრო მეტ აქტიური დასვენების მოყვარულებს იზიდავს.

სხვადა სხვა წყაროებში და დოკუმენტებში მოყვანილი „მწვანე ტურიზმის“ განმარტება ხაზს უსვამს მის მნიშვნელოვან ასპექტებს.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) განმარტებით „მწვანე ტურიზმი მიეკუთვნება ტურისტულ საქმიანობას, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს გარემოზე ზემოქმედება და ხელს უწყობს შენარჩუნებასა და მდგრად პრაქტიკას. ის მოიცავს ძალისხმევას ნახშირბადის ემისიების შემცირების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისა და ადგილობრივი თემების მხარდაჭერის (UNWTO Sustainable Development of Tourism, 2023).

ტერმინი „მწვანე ტურიზმი“ გამოიყენება ეკოლოგიურად სუფთა საქმიანობის მქონე ბიზნესებისთვის. კემბრიჯის ლექსიკონში აღნიშნულია, რომ „მწვანე ტურიზმი არის დასვენების და მასთან დაკავშირებული სერვისების მიწოდების ბიზნესი, რომელიც არ არის საზიანო რეგიონის ტერიტორიის გარემოსთვის“ (Cambridge Dictionary, 2023).

შემდეგი განმარტება ხაზს უსვამს მწვანე ტურიზმის ისეთ ასპექტებს, როგორიცაა გარემოზე ზემოქმედების შემცირების მეთოდები: „მწვანე ტურიზმი არის ტურიზმისადმი მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია/ფოკუსირებულია ტურისტული საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციაზე და

ადგილობრივი თემებისთვის სარგებლის მაქსიმალურად გაზრდაზე. ის მოიცავს ისეთ პრაქტიკებს, როგორიცაა ენერგიის დაზოგვა, ნარჩენების შემცირება და ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერა“ (მწვანე ტურიზმის სერტიფიცირების პროგრამა, დიდი ბრიტანეთი, 2023).

მწვანე ტურიზმი ხშირად გამოიყენება როგორც სინონიმი ისეთი ტერმინების როგორიცაა მდგრადი ტურიზმი, ეკოტურიზმი და პასუხისმგებლიანი ტურიზმი, მაგრამ მას აქვს სპეციფიკური ნიუანსი. მიუხედავად იმისა, რომ ეკოტურიზმი ფოკუსირებულია ბუნების დაცვასა და გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციაზე, მწვანე ტურიზმი უფრო ფართოა და მოიცავს სხვადასხვა მდგრად პრაქტიკას ტურიზმის ყველა სახეობაში (Weaver, 2001).

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია თავის გზამკვლევში გამოყოფს მწვანე ტურიზმის ექვს ძირითად პრინციპს. ეს არის: გარემოს მდგრადობა (ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელება სასტუმროებში და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება); კულტურული და სოციალური პასუხისმგებლობა (ადგილობრივი ტრადიციების, ხელნაკეთობებისა და საკვების პოპულარიზაცია და იმის უზრუნველყოფა, რომ ტურიზმი უარყოფითად არ იმოქმედებს ტერიტორიის კულტურულ იდენტობაზე); ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა და ადგილობრივი სარგებელი (ტურისტების წახალისება იყიდონ ადგილობრივი ხელოსნებიდან ან დარჩნენ ადგილობრივ საკუთრებაში არსებულ საცხოვრებლებში); განათლება და ინფორმირებულობა (ადგილობრივი ველური ბუნებისა და ეკოსისტემების შესახებ საინფორმაციო მასალის მიწოდება და ეკო ტურების შეთავაზება); ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაცია (ვიზიტორთა რაოდენობის შეზღუდვა მგრძნობიარე ადგილებში ან ნარჩენების მართვის სისტემების დანერგვა ტურისტულ მიმართულებებში); დაინტერესებული მხარეების ჩართულობა (საზოგადოების მიერ მართული ტურისტული ინიციატივების შექმნა, სადაც ადგილობრივები ამბობენ, თუ როგორ იმართება და ვითარდება ტურიზმი). (UNWTO, 2005). ეს პრინციპები აუცილებელია გლობალურად მწვანე ტურიზმის პრაქტიკის განვითარებისა და მართვისთვის.

სტატიაში "Advances and challenges in sustainable tourism toward a green economy" გაკეთებულია მიმოხილვა ტურისტული საქმიანობის ტენდენციებისა და პერსპექტივების მდგრადი განვითარების მიმართულებით. განხილულია ტურიზმის მდგრადობის გამოწვევები და ბარიერები, როგორიცაა ენერგიის დიდი მოხმარება, სათბურის გაზების გამონაბოლქვი და წყლის ფართო მოხმარება. ამ გამოწვევების საპასუხოდ იდენტიფიცირებულია რამდენიმე ძირითადი დისციპლინური ელემენტი მწვანე ტურიზმის მიმართ, მათ შორის განახლებადი ენერგია, მდგრადი მობილურობა, მწვანე შენობა, მწვანე ინფრასტრუქტურა, მწვანე სოფლის მეურნეობა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და შემოთავაზებულია მდგრადი ტურიზმის განვითარების სტრატეგიების

განხორციელების და შესრულების შეფასების პროგრამები (Shu-Yuan Pan et al., 2018) .

ამრიგად, მწვანე ტურიზმი გვთავაზობს უამრავ სარგებელს, რომლებიც შეიძლება დაიყოს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებად:

- გარემოსდაცვითი - მწვანე ტურიზმი ხელს უწყობს ტურიზმის ნახშირბადის ნაკვალევის შემცირებას ისეთი პრაქტიკით, როგორიცაა ნარჩენების შემცირება, წყლის დაზოგვა და სხვა(Gössling et al., 2012);
- სოციალური- მწვანე ტურიზმი წაახალისებს მოგზაურებს პატივი სცენ ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს ... ასევე ადგილობრივი თემების უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერებას (Richards, 2011)
- გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობა - მწვანე ტურიზმი ეხმარება უზრუნველყოს, რომ ტურიზმიდან სარგებელი იყოს გრძელვადიანი, ისეთი პრაქტიკების ხელშეწყობით, რომლებიც მხარს უჭერენ რესურსებს და თავიდან აიცილებენ ზედმეტ ექსპლუატაციას (Honey, 2008).

მიუხედავად იმისა, რომ მწვანე ტურიზმის სარგებელი აშკარაა, მისი განხორციელება დაკავშირებულია უამრავ პრობლემასთან. მდგრადი პრაქტიკის მიღება ხშირად მოითხოვს მნიშვნელოვან საწყის ინვესტიციას, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს განვითარებად რეგიონებში მცირე ბიზნესს მწვანე ტურიზმის პრინციპების ათვისებისგან (Ardoin et al., 2015). ეს ხარჯები შეიძლება მოიცავდეს ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შეძენას, მწვანე სამშენებლო მასალებს ან სერთიფიკატის მოპოვების ხარჯებს. ბარიერები მცირე სასტუმროს ბიზნესში მდგრადობის პრაქტიკის დანერგვისთვის განხილულია ნაშრომში „Barriers to the adoption of sustainability practices in small hotel businesses“ (Tokro& Dzitse, 2024).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დიდი ხნის წინ აქტიურად დაიწყო მწვანე ტურიზმის განვითარება, მაგრამ მიზეზი იყო არა ეკოლოგიური, არამედ ეკონომიკური პრობლემები. ბევრი ოჯახი ვეღარ ახერხებდა უცხოურ კურორტებზე გამგზავრებას. სწორედ მაშინ დაიწყეს სოფელში საოჯაო მეურნეობის მფლობელებმა დასვენების შეთავაზება ხელმისაწვდომ ფასად. განსაკუთრებით ბალნეოლოგიურ და მთის კურორტებზე (წყალტუბო, სურამი, ბორჯომი, ცემი, უწერა, ბაკურიანი და სხვა).

მწვანე ტურიზმის ახალი ბუმი დაიწყო 2020 წელს, როდესაც მსოფლიო კორონავირუსის პანდემიამ მოიცვა. ადამიანები თვეობით იყვნენ ჩაკეტილები სახლში, ნორმალურად ვერ მუშაობდნენ და ვერ ისვენებდნენ. ამიტომ გაჩნდა დიდი მოთხოვნა სოფელში გადასვლაზე.

„კორონავირუსის პანდემიამ შეცვალა ადამიანების ცხოვრება, შეხედულებები, უბიძგა ქალაქიდან სოფლებში, თავისი მიტოვებულ სახლებში დაბრუნებისკენ, გაუჩინა სურვილი ნათესავებისა და ახლობლების მონახულების, სასოფლო - სამეურნეო საქმიანობაში ჩართულობის და ამისგან სიამოვნების მიღების, ბუნების წიაღში ყოფნისა და ჯანსაღ გარემოში დასვენების„ (ხასაია, 2020, გვ. 113-118).

ნაშრომში „მწვანე ტურიზმი საქართველოში“ ხაზგასმულია, რომ მწვანე ტურიზმი არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკოტურისტული აქტივობებით, როგორიცაა ლაშქრობა ან ფრინველებზე დაკვირვება, არამედ ხელს უწყობს ეკოლოგიურად სუფთა და მდგრად პრაქტიკებს მთელი ტურისტული ღირებულების ჯაჭვში და მოყვანილია მწვანე ტურიზმის საუკეთესო პრაქტიკები (Schülein, 2018). თუმცა იმერეთში რა სიტუაციაა ამ მხრივ ნაკლებად არის შესწავლილი.

წარმოდგენილი კვლევის მიზანი არის იმერეთის რეგიონში მწვანე ტურიზმის განვითარების პრაქტიკის გაცნობა და არსებული გამოწვევების დადგენა.

მეთოდოლოგია

კვლევები ჩატარდა იმერეთის რეგიონში. კვლევისთვის შერჩეული იყო იმერეთის ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართული ერთმანეთისაგან განსხვავებული წარმატებული ბიზნესები: სასტუმრო, სასტუმრო კომპლექსი, ღვინის ტურიზმის დანიშნულების ადგილები (მარნები), იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, კულტურული ტურიზმის ობიექტი. ინფორმაციის მისაღებად იყო გამოყენებული ნახევრად სტრუქტურირებული ანკეტა/კითხვარი. გამოკითხვა ჩატარდა როგორც face-a face ისე ონლაინ Zoom პლათფორმის გამოყენებით.

ცხრილი 1. მოკლე ინფორმაცია რესპონდენტების შესახებ

	ორგანიზაციის დასახელება	რესპონდენტის პოზიცია	გამოცდილება (წელი)
1.	ბაღდადის მუნიციპალიტეტი (იმერეთი), სოფელი ობჩა, ბაიას ღვინო - ღვინის ტურისტული დანიშნულების ადგილი.	დამფუძნებელი	10
2.	საოჯახო მეღვინეობა Miriani's Marani და MinadzeWinery	ინდ.მეწარმე, დამფუძნებელი, მენეჯერი	7
3.	სასტუმრო Best Western (შ.პ.ს. „თეთრი ხიდი“)	გენერალური მენეჯერი, დირექტორი	7
4.	აგროტურიზმის ობიექტი ოტიას ეზო, მოიცავს: მწერლის სახლ-მუზეუმს, ღვინის ქარხანას, ტურისტული სივრცეს, ლუდსახარშს, კულტურული ღონისძიებების ადგილს.	მასპინძელი	9
5.	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია (პრომეთეს მღვიმე, სათაფლიის ნაკრძალი- სათაფლიის მღვიმე)	ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი	10
6.	ტურისტული კომპლექსი: წყალტუბო ეპიკ სასტუმრო და სპა	დაჯავშნის მენეჯერი	20

წყარო: კვლევის მონაცემები

კვლევის შედეგები

მწვანე ტურიზმის მიმდინარე პრაქტიკა და გამოწვევები ხუთი განსხვავებული ბიზნესის მაგალითზე.

1. **იმერული მარნები (მირიანის მარანი, ირაკლი მინაძის მარანი, ბაიას მარანი)**

იმერული ღვინის მარნები - მცირე საოჯახო მარნები, რომლებიც სტუმრებს სთავაზობენ გასაოცარ ეკოტურიზმის გამოცდილებას: ორგანული მევენახეობა, დაბალი ჩარევა ღვინის წარმოებაში და გარემოს დაცვა ნარჩენების მართვის გზით.

კვლევაში ჩართული ეს საოჯახო მარნები დაფუძნებიდანვე აქტიურად უწევენ პროპაგანდას ეკოლოგიურად სუფთა და ბუნებრივი პროდუქტის შექნას. ეს ეხება მევენახეობას, „ჩვენ ვენახში ორგანული ბუნებრივად დაცულ თვითკმარ პირობებს ვქმნით და ვუწევთ პროპაგანდას იმერეთში საოჯახო მარნებს და რეკომენდაციებს ვაძლევთ თუ როგორ შეიძლება ადგილობრივი თვითკმარი გარემო აღმოჩნდეს მაღალხარისხიანი ღვინის მისაღებად“, აღნიშნავს რესპონდენტი (ბაია).

აღსანიშნავია რომ მარნის სტუმრებს რომლებიც აგემოვნებენ ღვინოს, თავაზობენ იმერულ ავთენტურ სამზარეულოსაც და გარემოს. აგემოვნებენ ეზოს პამიდორს, სახლის კვერცხს, ხაჭაპურს და ა. შ. „ეს სოფელი ჩვენი საცხოვრისია, საიდანაც გვაქვს ბოსტანი, ვენახი, ყანა, საქონელი, ქათამი... და ასე მთლიანად ითვლება რომ ჩვენს სამზარეულოს ჩვენ ვაწყობთ“, - ამბობს ირაკლი.

ცალსახად მნიშვნელოვანია, რომ სასუქები იყოს ბუნებრივი და არ გამოიყენონ ისეთი ტიპის პრეპარატები, რომლებიც დამაზიანებელია გარემოსთვის, მიწისთვის, ოზონისთვის. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ადგილზე აწარმოებენ კომპოსტს:

ეს ნარჩენები არის საოჯახო სამზარეულოდან დარჩენილი მწვანე მასა, ასევე ეზოში მოგროვებული ფოთლები, თხილის ნარჩენი რაც კომპოსტირდება და ჰაერაციას უწყობს ხელს, კომბოსტოს ნარჩენები, ბალახი (ჩვეულებრივი ბალახი ვენახის გათიბვისას მიღებული და დაქუცმაცებული). ბიო ჰუმუსის წარმოების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს წვიმის ჭიას, რომელიც ბუნებაში ჩნდება თავისით. „ქართულ წვიმის ჭიას გააჩნია უნიკალური ერთი ჩვევა, სანამ არ დაასუფთავებს არ გადაამუშავებს იმ წერტილზე მწვანე მასას და ნარჩენებს მანამდე არ შორდება და არის ძალიან რეზისტენტური დაავადებების მიმართ. კალიფორნიის ჭია არის კონკურენტი, მაგრამ არ არის ასეთი აქტიური და არ მიირთმევს დასაკომპოსტირებელ მასას რაციონალურად, იმიტომ რომ თუ იპოვა სხვა საკვები ტოვებს ამ ნარჩენებს ბოლომდე აუთვისებელს და გადადის სხვა ნარჩენებზე. ქართული წვიმის ჭია თავისით ჩნდება და ის თუ არის ნიშნავს რომ მორმალურად ნოყიერი ნიადაგია“, აღნიშნავენ რესპონდენტები.

სამივე რესპონდენტი არის უმაღლესი განათლებით, მაგრამ უნივერსიტეტში მეღვინეობის მიმართულებით არ უსწავლიათ, მეღვინეობა იყო მათ ოჯახებში, ოჯახში ისწავლეს და დანარჩენი მიიღეს გამოცდილების გაზიარებით

საერთაშორისო ფესტივალებზე, გამოფენებზე, ტრენინგებზე. ხაზს უსვამენ რომ საქართველოში ძალიან ბევრი აქტიური ღონისძიება ტარდება. USAID აკეთებს კარგ ღონისძიებებს , „ჩვენ ვიყავით GIZ-ის პროექტის ფარგლებში ჩართულები კახეთის და იმერული ავთენთური ტურიზმის პროგრამაში სადაც ძალიან ღრმად გვიწევდა მეცადინეობები და ძალიან კარგი ტრენერები რომლებიც ძალიან საინტერესო ინფორმაციას გვაძლევდნენ. უნდა აღინიშნოს რომ ჩვენს გარემოს ბევრი შესაძლებლობა და პოტენციალი გააჩნია. ეს არის უფრო ინტერაქციით შემენელი ცოდნა“ , ურეკავენ, ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ გამოცდილებას.

თავისი ტურისტული მომსახურება ღვინის დეგუსტაციით დაიწყეს (ღვინოს ასინჯებინებდნენ ვიზიტორებს, ტურისტებს) და შემდეგ თავისთავად მოხდა განვითარება ამ ყველაფრის, სამზარეულო დაემატა და ნელ-ნელა განვითარდა.

„ეს საქმე არ დაგვიგეგმია, რომ უნდა გავხდეთ ბიზნეს ობიექტი რომელიც აწარმოებს ღვინოს და იღებს ტურისტებს . ოჯახში ყენდებოდა ნორმალური ღვინო, მოხდებოდა ხოლმე რომ ამ ღვინოს ვასინჯებდით მეგობრებს, ახლობლებს, სტუმრებს და ადამიანები მოწონებას არ მალავდნენ ... ეს ღვინო თავისთვის იკვლევდა გზას ... მერე იყო ფესტივალები, აღიარება და წარმატება“,- აღნიშნავს ირაკლი.

ახლა ეს მარნები ძირითადად მუშაობენ შედარებით მაღალ კატეგორიაში მყოფ ბარებთან და რესტორნებთან, რომლებიც არიან ძირითადი მასპინძელი ტურისტების, აქედან მოდიან სტუმრები თავისით ადგილზე მარნებში ამ ღვინოების გასასინჯად.

აქ მოსულ სტუმრებს შეუძლიათ ნახონ ღვინის დაგემოვნების მასტერკლასი, მიირთვან სხვადასხვა კერძები, ჩაერთონ ხაჭაპურისა და მჭადების გამოცხობაში და ა.შ.

„დაიხვეწა ურთიერთობა ტურისტთა და ჩვენ შორის. ჩვენ თვითონ გზა დაგვანახა მომხმარებელმა“ . აქ მოსული ტურისტები ხშირად კითხულობდნენ დარჩენა შეიძლება თუ არაო და თავდაპირველად პირად საძინებლებს უთმობდნენ, კარვებითაც მოსულან. ამიტომ გაჩნდა აუცილებლობა განთავსების სივრცის დამატების. ბაიამ საკუთარი საცხოვრებელი სახლის მეორე სართული მოაწყო სტუმრების მისაღებად, ირაკლის თავისი საცხოვრებელი სახლის სიახლოვეს არსებული კაპიტალური ძველი ნაგებობა (ხის სახლი) გესთ ჰაუსად აქვს გადაკეთებული, მირიანსაც აქვს დაწყებული მუშაობა ამ მიმართულებით. ეს ყველაფერი ეკოლოგიურად სუფთა გარემოშია.

გამოწვევები

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პრობლემები ძალიან დიდია ბიო ოჯახურ მეღვინეობაში. ბუნებრივი მეღვინეობა იცავს ბუნებას და იღებენ ბუნებსგან იმას რასაც იძლევა, „ბუნებაში ხდება ისეთი რამე რაც უკუკავშირს გვაძლევს ჩვენ როგორაც ვექცევით გარემოს, როგორაც ვაბინძურებთ და შესაბამისად გვიწვევს. მაგალითან შარშანდელი მოსავლის 70% განადგურდა“, -ამბობს მეღვინე ირაკლი.

ამრიგად, დიდი რისკები ახლავს ამ სფეროს, რასაც ვერ ვიტყვით ინდუსტრიულ მიმართლებაზე და კონვენციური მეთოდებით მოვლილ ვენახებზე, იმიტომ რომ იქ არსებობს პრევენციის სხვა უამრავი გზა. შეუძლიათ იმ პრეპარატების გამოყენება რასაც ბიო მეურნეობები ვერ იყენებენ, იცავენ ნორმებსაც, ცდილობენ რომ ნიადაგი და მცენარე იყოს მაქსიმალურად ეკოლოგიურად სუფთა. ზოგი ნივთიერება იწვევს ნიადაგის დაბინძურებას რადგან მძიმე მეტალებს შეიცავს ან წარმოადგენს და ჩვეულებრივად ნიადაგში შედის. ბიო მეურნეობების შემთხვევაში დიდი რისკები არის და შესაბამისად ძალიან დიდი გამოწვევებია ყველაფერში.

პრობლემა გავლენას ახდენს ტურისტების რაოდენობაზე. პირველადი პროდუქტი არის ყურძენი და ღვინო. აკლდებათ იმ ტურისტთა რიცხვი რომლებსაც ღვინო და მევენახეობა, მეღვინეობა აინტერესებთ. კი, მეორე მიმართულებაც არის საკმაოდ განვითარებული - იმერული ავთენტური კერძების დაგემოვნება, არიან ტურისტები რომლებიც ამისთვის მოდიან, მაგრამ უმეტესი წილი მაინც ღვინით არის დაინტერესებული. ქართული გასტრონომია და ღვინო ერთად არის ფაქტიურად. ღვინის გარეშე ძნელი წარმოსადგენია ქართული სუფრა.

ასევე, ერთერთი დიდი პრობლემა რაც არის ფინანსების ნაკლებობაა. დანარჩენს თვითონ ახერხებენ. დაბალპროცენტიანი აგროკრედიტი კი არის, მაგრამ ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი. ამიტომ იძულებული არიან საქმიანობიდან შემოსული ფული დაზოგონ, მოაკლონ ოჯახს და ჩადონ განვითარებაში. ასე ნელ-ნელა მიიწევენ წინ და ვითარდებიან.

რესპონდენტები გამოყოფენ კიდევ ერთ პრობლემას რაც ჩვენს ქვეყანაში მწვანე ტურიზმის განვითარებას ხელს უშლის, ეს არის ის რომ გარემოს დაცვის კუთხით არ ხდება აღსრულება არსებული კანონის, არ ხდება ბუნების გაფრთხილება, „რაც წერია კანონში, რომ საწარმოებს უნდა ქონდეს ესა თუ ის ფილტრი, ავტოსაგზაო ტრანსპორტს არ უნდა ჰქონდეს გამონაბოლქვი დაშვებულ ნორმაზე მეტი. რამდენად სწორად ხდება ამის შემოწმება“.

ბუნების დაცვა ასევე, დანაგვიანებასთან არის დაკავშირებული. ნარჩენების მართვა დიდი პრობლემაა.

სოფლებში, ქალაქის გარეუბნებში არის სპეციალური პატარ პატარა კულუარული ნაგავ საყრელები სადაც ადამიანები მიდიან , ყრიან მთელ საოჯახო ნარჩენებს, გაცნობიერებული არა აქვთ რამხელა ზიანს აყენებენ ბუნებას. „საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ტყეში რომ ტოვებენ არც უფიქრდებიან ვინ უნდა წაიღოს, სად მიდის ეს, მიწაში რადგან მიდის, ეს ამშვიდებთ. მაგრამ მიწაში მისი გახწნა რამდენად ბიოლოგიურად დეგრადირებადი და რამდენი წელი/ საუკუნე უნდა. სკოლებმა, უნივერსიტეტმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ ამ მიმართულებით, უნდა იყოს ჯარიმებიც„.

2. კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმის ობიექტი „ოტიას ეზო“

ტურიზმის ობიექტი „ოტიას ეზო“ მოიცავს მწერლის ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმს, ღვინის მარანს, კრაკლუდსახარშს, ტურისტულ სივრცეს და ასევე კულტურული ღონისძიებებისა და საგანმანათლებლო სივრცეს.

მწვანე ტურიზმის წარმატებულ ინიციატივად შეიძლება ჩაითვალოს ეს ეზო რომელიც მდებარეობს ფერდზე და არის მეწყრული - მეწყერ საშიში ზონაა, ფერდზეა და ეს ფერდი შეიძლება იყოს შექმნილი ნაყარი მიწისგან და ამ ყველაფერს სჭირდება ფესვებით გამაგრება, აქედან გამომდინარე ტრიალ ადგილებზე, რგავენ ახალ ხეხილს რომელიც ხელს შეუწყობს მიწის მდგრადობას, ასევე საქმიანობით არ აზიანებენ ბუნებას. მეორად გადამამუშავებელ პროდუქტებს, მაგალითად ლუდის ნახარშს ცხოველების საკვებად იყენებენ, ასევე ქიმიკატების საშუალებით რეცხვისას აქვთ ფილტრი გამოყენებული, რომელიც ფილტრავს და ბუნება არ ზიანდება, ცდილობენ ნარჩენების მართვის მოწესრიგებას: ნარჩენების დახარისხებას, რაც არის ლპობადი და რაც შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგ უკვე როგორც გუმუსი ამ თვითონ ეს ფოთლები, ტოტები სპეციალური ორმო იყრება ბუნებრივი სასუქების დასამზადებლად, შეზღუდული აქვთ ცელოფნების გამოყენება. ოჯახს აქვს ტრადიცია მნიშვნელოვან თარიღებზე ხეების დარგავის.

თვლიან, რომ ტურიზმის ინდუსტრიისთვის ერთერთი ღირებული გაკვეთილი იქნება გასხვლა, სტუმრების ჩართულობა თუ როგორ უნდა გაისხლას ხე რომ ამოისუნთქოს, რათქმა უნდა ყველაფერ ამას სჭირდება შესაბამისი პერიოდი გაზაფხულის ან შემოდგომის როდესაც ჯერ ფოთოლი არ არის ან ფოთოლი დაყრილი აქვს ხეს. ძალიან საინტერესო აქტივობა იქნება თუ როგორ გავსხლათ ხე სწორედ რომ არ დავაზიანოთ და ხელი შევიწყოთ მის განვითარებას. „ხის დარგვაზე დიდი სიკეთე ალბათ თითზე ჩამოსათვლელი არის კაცობრიობის ისტორიაში რა შეუძლია გააკეთოს ადამიანმა დედამიწისთვის, ხის დარგვა და შემდეგ უკვე მისი მოვლა - პატრონობა“, აღნიშნავს ნუცა.

3. სასტუმრო კომპლესი: წყალტუბოს ეპიტსასტუმრო და სპა

ტურისტული კომპლესი, თავისი მნიშვნელობითა და მულტიფუნციონურობით იმერეთში ყველაზე დიდ კომპლესია. ის მოიცავს 26 ნომრიან სასტუმროს, რომელსაც მალე დაემატება 46 ნომრიანი ახალი კორპუსი, 30 მეტრიანი ღია აუზი, ჯაკუზები, საუნები -ეს არის სასტუმროს ბლოკი. კომპლექსის ტერიტორია იწყება მწვანე ხეობიდან (პრომეტეს კანიონიდან), ეს დაახლოებით 2 კილომეტრიანი კანიონია ღია სივრცეში, პრომეტეს მღვიმიდან გამოსულ მდინარეზე ხორციელდება ნავებით გასეირნების დაახლოებით 25 წუთიანი ტური. გარდა ამისა აქვთ სპა მიმართულებაც.

კვების მიმართულებით არის ქართულ-ევროპული რესტორანი, რომელსაც გააჩნია რამოდენიმე სივრცე როგორც კლასიკური სარესტორნე სივრცე ასევე თანამედროვე ვერანდა დახურული და ღია სივრცეებით, რესტორანი ქვევრი (30 მეტრიანი ქვევრი).

არის ღვინის მარანი- ეს არის ისტორიული შენობა მესხური ჭერით აქვს გადახურვა, თავისი სილამაზითა და ორიგინალურობით იზიდავს ბევრ სტუმარს, მოდიან სურათების გადასაღებადაც.

ამ ღვინის მარანში ტარდება შემეცნებითი ტურები.

ასევე აქვთ ქართული ღვინის მუზეუმი, რომელიც შედგება ორი დიდი ფლიგელისაგან, ერთში არის ისტორიული ნაწილი სადაც არის ნახელეები, ღვინის კულტურასთან დაკავშირებული ნივთები, რეპლიკები რაც მოძიებულია სოფლებში და დაკავშირებულია ღვინოსთან საწნახელების ჩათვლით, აქვთ მუზეუმში განთავსებული ნივთების რეპლიკები, მუზეუმის მეორე კუთხეში/ფლიგელში არის სადეგუსტაციო სივრცე სადაც სტუმრებს შეუძლიათ დააგემოვნონ ღვინოები. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია იმერულ ღვინოებზე, თუმცა არის მრავალფეროვანი სერვისი მცირე ღვინის მარნებიდან, დამთავრებული ბრენდ ღვინოებით აქ არსებულ მაღაზიაში, სტუმრის მოთხოვნიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს როგორც ზოგადი ღვინის დეგუსტაცია ასევე პრემიუმ ღვინის დეგუსტაცია.

სასტუმრო სეზონურია, ვინაიდან ვერ ამუშავებენ ზამთარში, იხსნებიან გაზაფხულის შუაპერიოდიდან და მუშაობენ ოქტომბრის ბოლომდე საკმაოდ დიდი დატვირთვით, ივნისის მეორე ნახევარი და ივლისი, აგვისტო თითქმის 100% -ი დატვირთვაა.

მწვანე ტურიზმის ინიციატივებში ყველაზე დიდი გამოწვევა რაც ჰქონდათ და წელს მოაგვარეს, კანალიაციის პრობლემა იყო -ეს ქალაქ გარეთ არსებულ სასტუმროებს ყველაზე დიდი პრობლემაა. დაბინძურებული მასების ბუნებაში მოხვედრამ მერე შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები არამარტო ამ კონკრეტული სასტუმრო კომპლექსისთვის არამედ მთლიანად მიმდებარე ტერიტორიებისთვისაც. მიმდინარე წელს დაამონტაჟეს ულტრა თანამედროვე სისტემა - ისეთი მოწყობილობა (მოემსაურება არსებულ კომპლეს და ახალ კორპუსსაც), რომელიც წყალს 90%-ით ასუფთავებს ანუ ბუნებაში გავა ისეთი წყალი რომლის გამოყენება შეიძლება ნარგავის მოსარწყავად.

გარდა ამისა მწვანე ტურიზმის ინიციატივებში კარგი პრაქტიკაა შემდეგი:

1) კომპლექს აქვს ახალი მწვანე სივრცე - მოსასვენებელი სარელაქსაციო სივრცე სტუმრებისთვის.

2) ხანგრძვლივ სტუმრებზე (ერთკვირიანი და 10 დღიანი სტუმრები) პირსახოცებისა და თეთრეულის გამოცვლისთვის აღებულია ყოველი მესამე დღე

3) პლასტმასის ბოთლებს იყენებენ სასტუმროს ნომრებში და აუზში არ იყენებენ მინის ჭურჭელს უსაფრთოების გამო (ანუ როცა აუზი გაიშვება მაშინ ჩნდება ერთჯერად ჭურჭელზე მოთხოვნა), დანარჩენი ტერიტორიაზე არ ხდება პლასტმასისა და ერთჯერადი ჭურჭლის გამოყენება.

როგორც აღნიშნავს რესპონდენტი, ძირითადი გამოწვევა არის რესურსების ნაკლებობა, მაგალითად აქვთ იდეა სუფთა ენერგიაზე იმუშაონ, მაგრამ ამ ეტაპზე ფინანსური რესურსები ამისი არ გააჩნიათ, თუმცა ახალი კორპუსის

ექსპლუატაციაში შესვლის მერე ამ მიმართულებით მუშაობას მიუბრუნდებიან (ლაპარაკია მზის პანელებზე).

რესპონდენტის აზრით მწვანე ტურიზმის განვითარებას ქვეყანაში და რეგიონში უდიდესი პერსპექტივები აქვს. იმიტომ რომ ძირითადად ყველა ტურისტული მიმართულება, ყველა ტურისტული ატრაქცია ბუნებაზე ორიენტირებული არის და შესაბამისად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მწვანე ტურიზმის განვითარებას. იმერეთის რეგიონი რომ ავიღოთ ჩამოსული სტუმრების 80% - ი ბუნებაში გადის, ბუნებრივ რესურსებს სტუმრობს, ეს არის მღვიმეები, დაცული ტერიტორიები, კანიონები, იქ არსებული ჩანჩქერები და ა.შ. მნიშვნელოვანია როცა ასეთი ნაკადი მიემართება ამ მიმართულებებით, უნდა იყოს განვითარებული მწვანე ტურიზმის რაღაც მიმართულებები, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურები უნდა იყოს ჩართული ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტების განხორციელებაში.

4. ქუთაისი, სასტუმრო Best Western (შ.პ.ს. „თეთრი ხიდი“)

სასტუმრო წარმოადგენს ქსელის Best Western International-ის ერთადერთი ფილიალს (ფრანჩიზა) იმერეთში, კერძოდ ქუთაისში. სასტუმრო 45 ადგილიანი და შეუძლია ერთდროულად 100 სტუმრის მიღება. აქვს 3 საკონფერენციო დარბაზი, კაფე ბარი, რესტორანი, ლობი ლაუნჯი, ბიზნეს ცენტრი და სხვა სერვისები. სასტუმრო ქალაქის ცენტრში მდებარეობს მდინარე რიონის პირას და ძალიან ხშირად ქალაქის მაცხოვრებლებიც სარგებლობენ სასტუმროს ბაზაზე არსებული ლაუნჯითა და ტერასით.

რესპონდენტი მწვანე ტურიზმის ინიციატივებში გამოყოფს ენერგიის დაზოგვას. მაგალითად პირსახოცების გამოცვლასთან დაკავშირებით. ახსენებენ მომხმარებელს რომ საჭიროების გარეშე უმჯობესია ყოველდღე არ გამოცვალონ პირსახოცები რაც ზოგავს წყალს, სარეცხ საშუალებას, ენერგიას და შესაბამისად ხარჯს. ასევე იყენებენ ბროშურებს, ბანერებს, ნიშნებს ინფორმაციის გაზიარებისთვის, წარწერებით და ბუკლეტებით ახსენებენ ენერგიის დაზოგვას - გათიშვას როცა არ იმყოფებიან ოთახში. აგრეთვე არასეზონზე კეტავენ სართულებს ენერგიის დაზოგვის მიზნით.

პირსახოცების და თეთრეულის რეცხვა დაქირავებული კომპანიის მიერ ხორციელდება. მოთხონვა არის რომ ნაკლებად სურნელოვანი სხნარები გამოიყენონ, რომ ალერგიულ მომხმარებელსაც არ შეექმნას პრობლემა. ხელშეკრულების დადებამდე ხდება ფირმის შემოწმდა, სტანდარტებთან ამ კომპანიის შესაბამისობის დასადგენად

„გამოწვევაა, ასევე ენერგიის გათიშვის შემთხვევაში ალტერნატიულ წყაროდ მაღალი ძაბვის გენერატორებს რომ ვიყენებთ, რაც საწვავზე მუშაობს და შესაბამისად გარემომეგობრული არ არის, სულ მცირე მისი გამონაბოლქვის გამო“, აღნიშნავს რესპონდენტი. თვლის, რომ კარგი იქნებოდა ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენების საშუალება რომ ქონდეთ. მაგალითისთვის

დასახელებული მზის პანელები ერთის მხრივ ენერგიის დასაზოგად, მეორე მხრივ გამონაბოლქვის შესამცირებლად.

სასტუმრო საერთაშორისო ბრენდის არის, ამიტომაც ზოგადად მიდგომა ეკო მეგობრულია.

გამოწვევაა ნარჩენების მართვაც და გააჩნიათ მისი დაძლევის სტრატეგიები. მაგალითად, სამზარეულოში იყენებენ დანადგარებს, რომლებიც ცხიმს ამუშავებს, და ნარჩენის სახით მცირე რაოდენობის ეკოლოგიურად განეიტრალებულ/ ნაკლებად საშიშ ნარჩენს ღებულობენ. ასევე ხდება ნარჩენების სეპარაცია საკვების და ქაღალდის.

პლასტმასის რაოდენობის შესამცირებლად, დაგეგმილი აქვთ ოთახებში დისპენსერების გამოყენება საპნისა და შამპუნებისთვის რაც მცირე ზომის პლასტმასის ბოთლების გამოყენებას შეამცირებს. არ იყენებენ ერთჯერად ჭურჭელს, მაგ ჭიქებს.

მწვანე ტურიზმის პოტენციალს ხედავენ და ეთანხმებიან აზრს რომ უფრო ფართო აქცენტი უნდა მოხდეს ამ თემაზე. თვლიან რომ საჭიროა მეტი ეკომეგობრული საშუალებების შექმნა, ადამიანების ცნობიერების ამაღლება.

სასტუმრო ჩართულია booking -ის კამპანიაში, ეკო სტატუსთან დაკავშირებით, ესწრებიან ტრენინგებს და ეცნობიან იმ აქტივობებს და სერვისებს, რომლებიც ეკო მეგობრობას ხელს შეუწყობს.

5. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია (ბუნებრივი ძეგლი- პრომეტეს მღვიმე, სათაფლიის დაცული ტერიტორია- სათაფლიის მღვიმე)

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში შედის პრომეთეს მღვიმე, სათაფლიის დაცული ტერიტორია და მღვიმე, და კიდევ 20 ბუნების ძეგლი და აღკვეთილი.

პრომეთეს მღვიმე: 1400 მ გასავლელი საფეხმავლო ბილიკი მღვიმეში, 400 მ ნავით გასეირნება, ხდება განსაზღვა რამდენი ჯგუფი შევა და რა რაოდენობის.

სათაფლიაში მოწყობილია ახალი ეკომეგობრული განათების სისტემა, განახლებულია დინოზავრების პარკი იულიური პერიოდის პარკი, არის ახალი ეკოტურისტული ბილიკი, რომელიც მოიცავს 4.5 კმ-ს, ასევე არის დაკავშირებული სათაფლიას დაცული ტერიტორიასთან. პრომეთეს მღვიმის და ოკაცეს კანიონის ეკობილიკები არის 72 კილომეტრიანი ჯამში, სადაც არის მოწყობილი საპიკნიკე ადგილები, თავშესაფარი, სველი წერტილი

ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით ბუნებრივი რესურსების სპეციალისტების მიერ როგორც სათაფლიაში ასე პრომეთეში, ნავენახევის მღვიმეში ხორციელდება მწვანე კალენდრის მიხედვით ეკოგანათლების სემინარები და დასუფთავების აქციები, მუნიიპალიტეტში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლები, უნივერსიტეტი) ჩართულობით.

ვიზიტორთა რაოდენობის ნორმატიული ნორმები დაცულ ტერიტორიაზე საზღვრავენ სპელეოლოგები

ყოველ დღე მიმდინარეობს მონიტორინგი ვიზიტორების გატარების გამო რა შეიცვალა: სპეციალური მოწყობილობები - დატალოგერები მთელი წლის მანძიზე იწერენ ინფორმაციას ტენიანობის, ტემპერატურის შესახებ, რომ შენარჩუნებული იყოს / არ დაირღვეს არსებული მიკროკლიმატი, ყოველი წუთი არის იქ აღრიცხული და შესაბამისად აქვთ დიაგრამა თუ არის სადმე რამე ცვლოლება... ჯერ ჯერობით ისეთი რაოდენობით ვიზიტორებს არ გატარებულა რაიმე ზეგავლენა რომ მოახდინოს მღვიმეზე ან გარემოზე.

ნარჩენების მართვა აქაც პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს დიფერენცირებული ნარჩენების ურნები, სამწუხხაროდ მერე ხდება მათი ერთად თავმოყრა, ცალცალკე გატანა არ ხდება.

საპიკნიკე ადგილას არის საინფორმაციო დაფა, ცალკე არის ცეცხლის დასანთები მოწყობილი, „არ შეიძლება ცეცლის, კოცონის თვითნებურად დანთება, რეიჯერები ახორციელებენ პატრულირებას, ბოლო 5-10 წელია არ არის საჭირო შეხსენებები ნაგავი რომ არ დაყარონ/ არ დატოვონ, უკვე გააზრებული აქვთ, მიეჩვია ვიზიტორი, რომ ადამიანები დასვენების ადგილას ან საპიკნიკე ადგილას სადაც მიირთმევენ არ ტოვებენ ნარჩენებს, თუმცა როცა მიიღებ 2000-3000 ვიზიტორს ცოტა რაღაცა ელემენტარული ნარჩენები არის, მაგრამ ამას ვასუფთავებთ რეინჯერების, თანამშრომლების მიერ, ისე რომ შემდეგ დღეს ვიიზიტორს ყველაფერი მოწესრიგებული ხვდება“.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საჭიროა მეტი დაცული ტერიტორია, მეტი ეკობილიკები, მოსახლეობის მეტი დადებითი ჩართულობა ბუნებაში, მეტი ინფორმაციის მიწოდება დაცული ტერიტორიების, ბუნების შესახებ. კარგი პრაქტიკა იქნებოდა აქ მწვანე ბანაკების მოწყობა სკოლის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის.

მოსახლეობის ყველა სეგმენტი უნდა იყოს ჩართული მწვანე ტურიზმში, ეკოტურიზმში, ბუნებასთან უფრო ახლო კავშირში უნდა იყოს დაწყებული არასასკოლო და სასკოლო ასაკის ბავშვებიდან, სტუდენტების, საჯარო სამსახურებში დასაქმებულების ჩათვლით , თუნდაც შაბათ -კვირის დასვენება დაუთმონ ბუნებას. ბუნებაში გასვლა ყველა ასაკის ადამიანისთვის კარგი ინება.

ამრიგად, რესპონდენტები ხაზს უსვამენ მწვანე ტურიზმის პრინციპების სხვადასხვა ასპექტს, მაგრამ ისინი ზოგადად თანხმდებიან გარემოზე ტურიზმის უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაციის მნიშვნელობაზე.

დასკვნა

საქართველო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს მწვანე ტურიზმის განვითარებაში, რომელიც ხაზს უსვამს მდგრადობას, გარემოს დაცვას და კულტურის შენარჩუნებას.

მწვანე ტურიზმი პერსპექტიულია რეგიონისთვის მისი მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსების გამო. იმერეთში მრავალფეროვანი ლანდშაფტებია,

მათ შორის მღვიმეები, მდინარეები და ტყეები, რომლებიც იზიდავს ეკოლოგიურად შეგნებულ მოგზაურებს. ისეთი ადგილები, როგორიცაა პრომეთეს მღვიმე და ოკაცეს კანიონი, გვაძლევენ შესაძლებლობებს სუფთა ჰაერზე დასვენების, ეკოლოგიურად სუფთა აქტივობებისთვის. რეგიონი აგრეთვე მდიდარია ისტორიითა და ტრადიციებით, მრავალი კულტურული ადგილით, როგორიცაა უძველესი ეკლესიები და მონასტრები. ადგილობრივი კულტურის ჩართვა ტურისტულ გამოცდილებაში გააძლიერებს ვიზიტორთა ჩართულობას და ხელს შეუწყობს კულტურის შენარჩუნებას.

საქართველოში სულ უფრო მეტი კომპანია ცდილობს, მთავრობის დაბალი მხარდაჭერის მიუხედავად, განახორციელოს და გახადოს თავისი ბიზნესი რაც შეიძლება მდგრადი ენერგიის დაზოგვის ღონისძიებებისა და ნარჩენების მინიმიზაციის გზით.

სოფლის მაცხოვრებლებისთვის მწვანე ტურიზმში ჩართვის მოტივებს შორის შეიძლება გამოვყოთ უფრო მაღალი შემოსავლის მიღების სურვილი, არსებული განსახლების ბაზის გამოყენების შესაძლებლობა, ტურისტების მზარდი ინტერესი სოფლად. გარდა ამისა, კერძო შინამეურნეობების პოტენციალი არის განმსაზღვრელი ფაქტორი მწვანე ტურიზმის განვითარებისთვის, აყალიბებს გაწეული მომსახურების მოცულობას და მათ ეკონომიკურ ეფექტს.

ამასთან, მნიშვნელოვანია:

1) მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, მწვანე ტურიზმის განვითარების და გარემოს დაცვის ახალი მიდგომების გაცნობა, გარემოს დაცვისკენ მიმართული კანონების აღსრულება და გამკაცრება;

2) ინვესტიცია ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურაში, როგორიცაა მწვანე სასტუმროები და ტრანსპორტირება;

3) ნარჩენების მართვისა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ინიციატივები ტურიზმის გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად;

4) საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა რეგიონს დაეხმარება მდგრადი ტურიზმის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვასა და ინვესტიციების მოზიდვაში.

5) ავტორიტეტული ორგანოს მიერ (რომელიც ადგენს სერტიფიკაციის საიმედო სტანდარტებს ან კანონს) მწვანე ტურიზმის სერთიფიკატის გაცემა, რაც კომპანიებს მიანიჭებდა გამორჩეულ უპირატესობას კონკურენტებთან შედარებით. წვანე ტურიზმის სერთიფიკატების ან ეკოლოგიური ჯილდოების გამოყენება მიუთითებს კომპანიის ეკოლოგიური კვალიფიკაციაზე იმ იმედით, რომ კლიენტები გამოიმუშავებენ პოზიტიურ დამოკიდებულებას მათი პროდუქტის ან მომსახურების მიმართ. ეს კი იქნება სერიოზული მოტივაცია მწვანე ტურიზმის განვითარებისათვის.

REFERENCES

1. Ardoin N. M., Wheaton M., Bowers A., Hunt C.A. & Durham W. H. (2015). Nature-based tourism's impact on environmental knowledge, attitudes, and behavior: a review and

analysis of the literature and potential future research. *Journal of Sustainable Tourism*, Vol. 23, No 6, 838-858, http://dx.doi.org/10.1080/09669582.2015.1024258

2. Green Tourism: What is it and Why is it Important? (2023) CABI

3. Cambridge Dictionary https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/green-tourism (accessed 2023).

4. Furqan, A., Som, A. P., & Hussin, R. (2010). Theoretical and Empirical Researches in Urban Management. *Scholarly Journal Promoting Green Tourism for Future Sustainability, Bucharest Iss*. 17, 64-74. https://www.proquest.com/docview/816192905

5. Gössling, S., Scott, D., & Hall, C. M. (2012). *Tourism and Water: Interactions, Impacts and Challenges*. Channel View Publications

6. Green Tourism Certification Program, UK, 2023.

7. Honey, M. (2008). *Ecotourism and Sustainable Development: Who Owns Paradise?* Island Press..

8. Khasaia, I. (2020). Domestic tourism: demand for rural recreation in post-pandemic conditions (Imereti). *Journal of AgroNews*, #7, pp 113-118. https://iaa.org.ge/editions/237--.html

9. Richards, G. (2011). *Cultural Tourism: Global and Local Perspectives*. CABI Publishing

10. Schülein, St. (2018). Green Tourism in Georgia. Georgian national tourism administration ელ წიგნი: file:///C:/Users/Administrator/Downloads/Green-Tourism-in-Georgia.pdf

11. Shu-Yuan Pan et al. , (2018). Advances and challenges in sustainable tourism toward a green economy *Science of The Total Environment*, Volume 635, 1 2018, 452-469 (Access: https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S004896971831194X)

12. Tokro, L. S., Dzitse, C.D. (2024, June). Barriers to the adoption of sustainability practices in small hotel businesses: A qualitative study in Ghana. *Pressacademia* 11(1), pp. 36-50 DOI: 10.17261/Pressacademia.2024.1888

13. UNWTO Sustainable Development of Tourism. (2023). https://www.unwto.org/sustainable-development).

14. Weaver, D. B. (2001). Ecotourism as Mass Tourism: Contradiction or Reality? *Cornell Hotel and Restaurant Administration Quarterly* ,42(2), pp. 104-112 DOI: 10.1016/S0010-8804(01)80022-7

15. World Tourism Organization (UNWTO). (2005). Making Tourism More Sustainable: A Guide for Policy Makers. UNWTO and United Nations Environment Programme (UNEP). https://www.unwto.org/sustainable-development (accessed 2024).